NEWSLETTER

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

ყველა ყველაფერის ხელავს...

გამოცემა
2014

2015

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს მთელი კოლექტივი
გულითადად გილოცავთ დამდეგ
ახალ 2015 წელს!

დაე, მომავალი წელი ყოფილიყოს წარმატების,
წინსვლის, მშვიდობის, კეთილდღეობისა და
ბედნიერების მომტანი ჩვენი ქვეყნის
თითოეული მოქალაქისათვის.

ტენდერების მონიტორინგი



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს მონიტორინგს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. აღნიშნული მონიტორინგი მოიცავს ათასობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმებს, კონკურსებს, გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერებს და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებებს.

2014 წლის განმავლობაში შემსყიდველ ორგანიზაციებს, მათ მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში აღმოჩენილ პროცედურულ დარღვევებთან მიმართებაში, გაეგზავნათ 2000-ზე მეტი წერილი, რომლებზეც რიგ შემთხვევებში სააგენტო შემოიფარგლა რეკომენდაციის კუთხით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, სადაც შეინიშნებოდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებული დარღვევის ფაქტები, განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

მიმდინარე წლის განმავლობაში მონიტორინგის დეპარტამენტში შემოვიდა 200-ზე მეტი წერილობითი მომართვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, ტენდერისთვის ან/და ხელშეკრულებისთვის არასწორი სტატუსის, ასევე პრეტენდენტისთვის არასწორი დისკვალიფიკაციის მინიჭებასთან მიმართებაში, რომლებიც გამოწვეული იყო როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის არასწორი ქმედებებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონმდებლობის ფარგლებში გატარებული იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

საგულისხმოა, რომ შემუშავდა ავტომატური შეტყობინებების სისტემა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში სარისკო ქმედებებთან მიმართებაში, რაც მონიტორინგის დეპარტამენტს შესაძლებლობას აძლევს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ყველა არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის ფაქტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგის დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ამა წლის მაისი-ივნისის თვეში გამართულ რეგიონალურ შეხვედრებში (ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის და აჭარის რეგიონის, ასევე ქ. ფოთის ფარგლებში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები). დამუშავდა და გამოვლენილი იქნა მოცემულ რეგიონებში არსებული ხარვეზები და პრობლემები, რაზეც შემდგომში მათთან შეხვედრაზე იქნა ყურადღება გამახვილებული.



Sida-ს

დელეგაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მომავალ თანამშრომლობასა და გეგმებს დაეთმო შეხვედრა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 26 ნოემბერს გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ევა გიბსონ სმედბერგი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მრჩეველი, განვითარებისა და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი), კახა ხიმშიაშვილი (შვედეთის საელჩოს განვითარებისა და თანამშრომლობის განყოფილების პროგრამების ხელმძღვანელი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე, მოადგილე კახა დემეტრაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მანანა შურღულაია, ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი დიმიტრი გულისაშვილი და სპეციალისტი ნინო კანდელაკი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს ახალი ოფისი დაათვალიერეს და სასწავლო ცენტრში თვითმმართველობების შესყიდვების სპეციალისტთა სწავლების პროცესსაც გაეცნენ.

შეხვედრები ბრიუსელში DCFTA-ის ფარგლებში

საქართველოს დელეგაციამ ვაჭრობის საკითხებში ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროგრესი წარმოადგინა მოლაპარაკებათა შემდგომი რაუნდი იანვარში გაიმართება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი სოფიკო ბერიშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მანანა შურღულაია, დეკემბრის დასაწყისში ქალაქ ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანი იყო საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლება და ევროკავშირისა და საქართველოს ვაჭრობის საკითხებში ასოცირების კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა.

2 დეკემბერს განახლდა ორმხრივი მოლაპარაკებები DCFTA-ის (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ შეთანხმება) ხელშეკრულების „საჯარო შესყიდვების“ თავის დანართებთან დაკავშირებით.

ევროკომისიის მხარეს წარმოადგენდნენ იაკობ კორნიდესი და ნილს შუსტერი, ორმხრივი ვაჭრობის კოორდინატორი ჯოანა მიქსა, შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი - ვაჭრობის საკითხების მენეჯერი ანტონიო ლო პარკო. მოლაპარაკებების განახლება გამოიწვია ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ახალი დირექტივების მიღებამ.

მოლაპარაკებები შეეხო საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საკითხებს და ამ დაახლოებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების ეტაპებს.

2 დეკემბრის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ შემდგომ ნაბიჯებზე: იანვრის თვეში დაგეგმილია მოლაპარაკებების შემდგომი რაუნდი, ვიდეოკონფერენცია საჯარო შესყიდვების საკითხებზე. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, DCFTA-ის შესაბამის დანართში, რომელიც ეხება საჯარო შესყიდვებს, ცვლილებები შევა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დელეგაცია, აგრეთვე, მონაწილეობდა ევროკავშირისა და საქართველოს ვაჭრობის საკითხებში ასოცირების კომიტეტის სხდომის მუშაობაში, რომლიც გაიმართა 3 დეკემბერს. საქართველოდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, DCFTA-ის მთავარი მომლაპარაკებელი მიხეილ ჯანელიძე.

აღნიშნულ შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა საჯარო შესყიდვების სფეროში DCFTA-ის იმპლემენტაციის პროგრესსა და შემდგომ განსახორციელებელ ღონისძიებებზე იმსჯელეს.

შეხვედრები SIGMA-ს და ევროკავშირის ექსპერტებთან



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 8 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD-ის ერთობლივი ინიციატივა) ექსპერტთან დანიელ ივარსონთან და ევროკავშირის ექსპერტთან, რუმინეთის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელთან გიორგი კაზანთან.

შეხვედრების ძირითადი განსახილველი თემა იყო საქართველოს შესყიდვების კანპონმდებლობისა და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ანალიზი ევროკავშირის კანონმდებლობისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის კუთხით.

ამასთანავე, შეხვედრებზე განიხილებოდა DCFTA-ის (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ) ფარგლებში მოსამზადებელი საკანონმდებლო მიახლოების სამოქმედო გეგმის ძირითადი შინაარსის ასპექტები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

მოხდა სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის და კანონმდებლობის დეტალური ანალიზი და განხილვა.

მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს ტექნიკური დახმარების სამომავლო გეგმებზე.

სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შენობაში იმართებოდა საქმიან გარემოში და ძალზე პროდუქტიული იყო.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს სტატისტიკა

2010 წლის 30 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N11 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“, რომლის საფუძველზე, ამავე წლის 6 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დავების განხილვის საბჭო შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა პარიტეტული მონაწილეობით. 2011 წლის 7 ნოემბრიდან საბჭოში საჩივრის წარდგენა და საბჭოს მუშაობა ელექტრონულ ფორმატში იქნა გადაყვანილი. განხილვის პროცედურა და საბჭოს გადაწყვეტილებები არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. საბჭო გადაწყვეტილებებს იხილავს საჩივრის დასაშვებად მიჩნევიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რასაც თითქმის არ აქვს ანალოგი მსოფლიოში შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის კუთხით.

დავების საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობა წინა წლებთან (2010-2011წწ) მნიშვნელოვნად გაიზარდა 2012 წლის მაჩვენებლები. 2012 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდში შემოსული საჩივრების რაოდენობა თითქმის გაორმაგებულია (200% გაზრდილია) წინა წლებთან შედარებით. 2013-2014 წლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჩივრების რაოდენობა პროგრესულად იზრდება ყოველდღიურად. 2011-2012 წლებში შემოსული საჩივრების 40%-ზე მიღებული იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება, ხოლო 2013-2014 წლებში საჩივრების 55% მიღებული იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება.

2012 წლის არჩევნების შემდგომ გაფართოვდა საჩივრების წარმომდგენ პირთა გეოგრაფია, იმატა გასაჩივრებული ტენდერების რაოდენობამ რეგიონებში, 2010-2011 წლებში საჩივრების (გასაჩივრებული ტენდერების) რაოდენობის უმეტეს ნაწილს (67%) შეადგენდა თბილისი, 2012 წლის შემდგომ გასაჩივრებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში (თვითმმართველი ერთეულების მიერ) გამოცხადებული ტენდერები. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების (ბიზნეს სექტორის) ნდობა 2012 წლის ოქტომბრის შემდგომ მკვეთრად გაიზარდა, რაც გამოხატულია საჩივრების წინა წლებთან შედარებით პროგრესულ ზრდასთან.

2011-2014 წლებში შემოსული საჩივრების სტატისტიკა:

2011 წელი	68 საჩივარი (დაკმაყოფილდა 34 საჩივარი)
2012 წელი	128 საჩივარი (დაკმაყოფილდა 67 საჩივარი)
2013 წელი	395 საჩივარი (დაკმაყოფილდა 110 საჩივარი)
2014 წელი	536 საჩივარი (დაკმაყოფილდა 218 საჩივარი)

2014 წელს შემოსული საჩივრებიდან 123 საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო 95 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ 218 საჩივარზე მიღებული იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შემსყიდველ ორგანიზაციას დაევალა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის (ტენდერში მონაწილე კომპანიების) შეფასება განეხორციელებინა კანონმდებლობის სრული დაცვით.

2013 და 2014 წლის შედარება საჩივრების მიხედვით:





ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გაიყო სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და კონკურენციის სააგენტო. ორი დამოუკიდებელი სააგენტოს ჩამოყალიბება მიზნად ისახავს მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ვალდებულება, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადების საკითხი შეათანხმოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოსთან.

- შავ სიაში კომპანიის რეგისტრაციის პროცესი მოწესრიგდა და უზრუნველყოფილ იქნა კომპანიების ინტერესების დაცვა, მათ შორის გათვალისწინებულ იქნა საზოგადოებრივი ინტერესი, რის შედეგადაც:

- პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხის გადასაწყვეტად დადგინდა კონკრეტული ვადა. საგენტო ვალდებულია 2 თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საკითხთან დაკავშრებით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი თვით განსაკუთრებულ შემთხვევეაში;

- შავ სიაში რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნაცვლად „არასრულად“ შესრულებისა;

- შემსყიდველ ორგანიზაცია სააგენტოში წარმოადგენს შეტყობინებას პრეტენდენტისჰმიმწოდებლის შავ სიაში დასარეგისტრირებლად თუ ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა;

- მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნისას, შემსყიდველი ორგანიზაციები გათავისუფლდნენ იმ დოკუმენტების წარმოდგენისგან, რომელიც უკვე საჯაროა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

- შავ სიაში დარეგისტრირების საფუძვლების დაკონკრეტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან დასაბუთების გამკაცრების პარალელურად, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ნაცვლად ორჯერ გაფრთხილებისა შავ სიაში დარეგისტრირებამდე პრეტენდენტს/მიმწოდებელს შესაძლებელია მიეცეს მხოლოდ ერთი გაფრთხილება.

- კომპანიების ინტერესების დაცვის მექანიზმის გაძლიერების კუთხით, გათვალისწინებული იქნა შავი სიის შესახებ წარმოების შეჩერების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტიჰმიმწოდებელი შესაბამის ორგანოში გაასაჩივრებს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელითაც წარმოიშვა შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი და რასაც უშუალოდ უნდა დაეყრდნოს სააგენტო წერილობითი შეტყობინების განხილვის შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას.

- მიმწოდებლის მიერ კონსოლიდირებული ტენდერიდან გამომდინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შავ სიაში დარეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ.

- მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარდგენისა და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის კუთხით. სახელმწიფო შესყიდვების პროცესების, მათ შორის ელექტრონული ტენდერების ხელოვნურად გაჭიანურების პრევენციის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება აღნიშნულ საბჭოში შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან მხოლოდ 15 დღის განმავლობაში. აღნიშნული ცვლილებით საჩივრების წარდგენამ კიდევ უფრო ობიექტური ხასიათი შეიძინა და ორგანიზაციებს მოტივაციას აძლევს დროულად მოახდინონ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში თავიანთი უფლებების დაცვა, რაც საპასუხოდ ზრდის დავების საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამის მხარდაჭერით გამოსცა სამი მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელო მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ელექტრონული სისტემის მომხმარებელს. მასში დეტალურად არის აღწერილი სისტემაში რეგისტრირების, ტენდერის გამოცხადებისა და ჩატარების, SMS მომსახურების, ხელშეკრულების ცვლილებებისა და ხელშეკრულების მიმდინარეობის ანგარიშების, შესყიდვების ელექტრონული გეგმების შექმნისა და ატვირთვის შესახებ ინფორმაცია.

სახელმძღვანელო დაფუძნებულია სააგენტოში არსებული ცხელი ხაზისა და თანამშრომლების პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე ჩატარებულ ანალიზზე. იგი მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ ყველა აქტუალურ კითხვაზე პასუხს და მეტად მნიშვნელოვანია შესყიდვების კუთხით დასაქმებული თანამშრომლებისათვის.



პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ წარმატებულ შესყიდვას დიდწილად კვალიფიციურად წარმართული შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპი განაპირობებს. შესაბამისად, პუბლიკაციაში წარმოდგენილია შესყიდვების წინამოსაზადებელ ეტაპთან დაკავშირებული დებულებები, როგორიცაა: შესყიდვების დაგეგმვა, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრა და შესყიდვების სპეციფიკაციების შემუშავება.

სამივე სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ სააგენტოს ვებგვერდზე და დასტამბული სახით მიიღოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში მისამართზე: თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. № 8.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

ადგილობრივი თვითმმართველობების შესყიდვების სპეციალისტთა ტრენინგები დასრულდა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში დასრულდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესყიდვების სპეციალისტთა მეორე ნაკადის სწავლების პროცესი.

45 მსმენელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ „სახელმწიფო შესყიდვების კურსის“ გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცა.

სასწავლო ცენტრი 2014 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა და დღეისათვის სწავლება გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობების შესყიდვების 93-მა სპეციალისტმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან, მათ შორის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე სოფლების გამგეობების წარმომადგენლებმა. მსმენელებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეს ინიციატივა და სამომავლოდ სამუშაო შეხვედრების სურვილი გამოთქვეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2015 წლიდან ტრენინგების გაგრძელებას და სამიზნე აუდიტორიის გაფართოებას გეგმავს - სააგენტოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიერ მომზადებულია სპეციალური სასწავლო პროგრამები შესყიდვების სპეციალისტთა უფრო ფართო წრისთვის, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო სექტორის შესყიდვების წარმომადგენლებისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრმა დაიწყო განაცხადების მიღება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ტრენინგზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ქ.თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების: სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ქ. თბილისის მერიის, ასევე, ქ.თბილისის მერიის მიერ სსიპ-ების, ააიპ-ებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეთათვის

განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა: 16 იანვარი

ვისთვის არის ეს კურსი?

სასწავლო პროგრამის განხორციელებისას შემოთავაზებული კურსი სახელმწიფო შესყიდვების თემატიკაზე, განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვინც ახორციელებს შესყიდვებს სახელმწიფო სექტორის უწყებებში და სურს მიიღოს შესაბამისი ცოდნა, ასევე აიმაღლოს კვალიფიკაცია.

რას ვისწავლით?

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი მიმოხილვა: სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- რელევანტური ნორმატიული აქტები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესი;
- სახელწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV kodebi);
- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან, შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტ-გამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;
- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და ალტერნატიული ტენდერი;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;

- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები.

ტრენინგს გაუძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით.
ტრენინგის ხანგრძლივობა: 40 სთ.

ტრენინგის დაწყებისა და დასრულების თარიღი:	2 თებერვალი - 4 მარტი
განაცხადის შეტანის ბოლო ვადა:	16 იანვარი
ტრენინგი ჩატარდება კვირაში სამჯერ:	ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, 10.00 - 13.00 სთ.

ტრენინგის დაწყებისთანავე მსმენელებს დაურიგდებათ სასწავლო მასალები.
ტრენინგის დასასრულს მოხდება მსმენელთა სერტიფიცირება.
სამუშაო დღის განმავლობაში მოეწყობა ერთი ყავის შესვენება.
ტრენინგს აფინანსებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

მსმენელთა საყურადღებოდ!

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ტრენინგზე დაშვებული იქნებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ ანკეტაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიიღებთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის წერილობით მომართვას და სასწავლო ცენტრის თანამშრომელი თქვენი ტრენინგში მონაწილეობის თაობაზე დაგიდასტურებთ სატელეფონო შეტყობინებით.

თბილისი, 0113
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №8
ტელ.: 577 24 44 28

training.center@spa.ge
http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=10&info_id=1948

ჩვენი ტრენერები

ჩვენი ტრენერები

კონსტანტინე გუგეშაშვილი
მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი;

სოფიკო ბერიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;

მანანა შურლულაია
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;

მაია კუხალეიშვილი
გამარტივებული ხელშეკრულებების, კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამარ გორდელაძე
სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;

გიორგი ლაცაბიძე
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

გიორგი გოგიბერიძე
ტენდერების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ხვიჩა ბზიავა
მთავარი სპეციალისტი;

ქეთევან ქადაგიძე
კონსოლიდირებული ტენდერების ორგანიზების სამმართველოს უფროსი;

ანა ჭანია
ანალიტიკური ჯგუფის უფროსი;

ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
ანალიტიკოსი;

ანა გაგნიძე
შესყიდვების კოორდინატორი.

eCloud



ახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სიახლეებზე ისაუბრა ფინანსთა სამინისტროს პრეზენტაციაზე, რომელიც 4 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" შედგა.

ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის პრეზენტაცია საქართველოში ახალი მომსახურების eCloud დანერგვას ეხებოდა.

როგორც კახა დემეტრაშვილმა აღნიშნა, ახალი eCloud ტექნოლოგია, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ დანერგა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამ სიახლემ საშუალება მოგვცა საკუთარი სერვერული ინფრასტრუქტურა ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის eCloud პლატფორმაზე განგვეთავსებინა და თავიდან აგვეცილებინა მნიშვნელოვანი ხარჯები მატერიალური და ადამიანური რესურს ების კუთხით, რაც დაკავშირებული იყო ამ ინფრასტრუქტურის შექმნასთან, შენახვასა და მართვასთან.

კახა დემეტრაშვილი: **ჩვენი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ჩვენი ელექტრონული სერვისები, თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტა, კიბერუსაფრთხოება... ამას ყველაფერს უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მაღალკვალიფიციური პერსონალი ახალი ღრუბლოვანი ტექნოლოგიის დახმარებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყო ერთ-ერთი პირველი უწყება, რომელიც ჩაერთო eCloud ტექნოლოგიების დანერგვაში.**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

70 მომხ.

300 მომხ.

500 მომხ.



50 მომხ.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

100 მომხ.

დიასპორის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

30 მომხ.

„საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს“ 2014 წლის საქმიანობას დადებითად აფასებს

ასოციაცია 2015 წელს კვლავ განაგრძობს „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“ არსებულ „შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს“ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებასა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვაზე დაკვირვებას და მოუწოდებს საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესის თითოეულ ასპექტზე მონიტორინგის განხორციელებაში.

(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს“ 2014 წლის საქმიანობას დადებითად აფასებს.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ შესყიდვის განხორციელებისას გამართული ტენდერის მონაწილეს ან მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სატენდერო კომისიის ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედება სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“ არსებულ „შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში“ თუ მას მიაჩნია, რომ ტენდერის ჩატარებისას დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

„საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ 2014 წლიდან მონაწილეობას იღებს და აკვირდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესს. აღსანიშნავია, რომ საბჭოში თითოეული საჩივრის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვით, მაქსიმალური გამჭვირვალობის პირობებში, რაც დადებითად აისახება საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხსა და დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობის კუთხით საერთო სასამართლოების განტვირთვის პროცესზე.

26 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 20041 მიმწოდებელი ორგანიზაცია.

რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობრივი დინამიკა წლების მიხედვით